• ირმა გაბინაშვილი •

საქართველოს დამფუძნებელი კრება ქართულ ბეჭდურ გამოცემებში

აბსტრაქტი

დამფუძნებელმა კრებამ, საქართველოს პროგრესული განვითარების იდეის დროით პერსპექტივაში უდიდესი კვალი დატოვა. პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდი, რომელიც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს საფუძვლადაა მიჩნეული, ისტორიამ, უპირველესად საკანონმდებლო ორგანოთი - „დამფუძნებელთა კრებით“ დაიმახსოვრა, როგორც მისი სამზადისით, ასევე უნიკალური დებულებით, საარჩევნო კომისიის მიერ წარმოებული სამუშაოებითა და პროცესში ჩართულ ძალთა მხრიდან უკუკავშირით. ამ პერიოდში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და საგარეო პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა საქართველოში ჩატარებულიყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების მიზნით ორგანიზებული მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული არჩევნები. თუმცა, ამ პროცესს წინ უძღოდა საკმაოდ მწვავე დისკუსიები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის, რომელთაც ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე სხვადასხვაგვარი წარმოდგენები ჰქონდათ.

განსაკუთრებულია ეს ეპოქა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისთვის. იმხანად გამომავალ ბეჭდურ გამოცემებში: გაზეთები „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ალიონი“, „ერთობა“, „ჩვენი ქვეყანა“, „სამშობლო“ და ჟურნალი „ჩვენი ერი“ კარგად ჩანს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და დამფუძნებელი კრების საქმიანობასთან დაკავშირებით ფორმირებული რეზონანსული აქცენტები. სწორედ ამ ტენდენციებს მიმოვიხილავთ ცნობილი ქართვე-

---

• ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლი მწერლის და მოაზროვნის, ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტური ნააზრევის კვალდაკვალ, რომელმაც ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, ეროვნული ცნობიერების და ღირსების გაღვივების ურთულესი პროცესი ძალიან საინტერესოდ ასახა.

საკვანძო სიტყვები: დამოუკიდებლობის იდეა, დემოკრატიული არჩევნები, პუბლიცისტური ნააზრევი.

❖

პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდი, რომელიც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს საფუძვლადაა მიჩნეული, ისტორიამ, უპირველესად საკანონმდებლო ორგანოთი - დამფუძნებელთა კრებით დაიმახსოვრა, როგორც მისი სამზადისით, ასევე უნიკალური დებულებით, საარჩევნო კომისიის მიერ წარმოებული სამუშაოებითა და მთლიანი პროცესით. ამ პერიოდში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და საგარეო პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულიყო მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული არჩევნები. ამ კონტექსტში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა სწორედ არჩევნებმა - დემოკრატიული გზით ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების გამოცდილებამ მისცა. თუმცა, ამ პროცესს წინ უძღოდა საკმაოდ მწვავე დისკუსიები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის, რომელთაც ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე სხვადასხვაგვარი წარმოდგენები ჰქონდათ.

განსაკუთრებულია ეს ეპოქა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისთვის. 1917-1918 წლების საქართველოს პერიოდული პრესისა და ქართველი პუბლიცისტების ამ პროცესში მონაწილეობის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომები დღემდე არ შექმნილა. იმხანად გამომავალ ათეულობით ბეჭდურ გამოცემაში: გაზეთები „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ალიონი“, „ერთობა“, „ჩვენი ქვეყანა“, „სამშობლო“; ჟურნალი „ჩვენი ერი“ კარგად ჩანს საქართველოს და-

მოუკიდებლობის იდეა და დამფუძნებელი კრების მოდელი, რომელიც იმთავითვე განსაზღვრავს 1917-1918 წლების ქართული პრესის აქცენტებს. ამ პერიოდში სამი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დაარსდა ქართული უნივერსიტეტი და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო 26 მაისის აქტით. ეს ტენდენციები საკმაოდ საინტერესოდ ასახა ამ პერიოდს თანამედროვემ, ნიკო ლორთქიფანიძემ. ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა, რომელმაც მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობით და ბეჭდურ გამოცემებთან აქტიური თანამშრომლობთ, რევოლუციებისა და გადატრიალებების ფონზე ეროვნული ცნობიერების, ღირსების გაღვივების პროცესი საკმაოდ საინტერესოდ ასახა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგადარჩენის ინსტიქტი ქართველობას ერის დათრგუნვას, გათითოკაცებას და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას უქადდა, ნიკო ლორთქიფანიძემ ერთ-ერთმა პირველმა შეამჩნია, რომ ქართველი ერი მე-20 საუკუნის დასაწყისში დაავადებული იყო გალიაში დაბადებული ლომის სინდრომით - არ იცოდა (და ან არ ახსოვდა) თავისუფლების გემო და იქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ გალიის კარის გაღების შემთხვევაშიც არ მოისურვებდა ძველი სადგომის დატოვებას.

„ახალი მთავრობა სამართლიანად ჰფიქრობს, რომ დამფუძნებელი კრება მხოლოდ მაშინ შეიძლებს სახელმწიფოს მოწყობას, როცა სულის შემხუთავი კანონები ძველის რეჟიმისა სრულიად დამსხვრეული იქნება. როგორც შეუძლებელია არჩევნების ძველის სისტემით იქმნას არჩეული წევრი დამფუძნებელი კრებისა, ისე შეუძლებელია, თუ სამართლიანობის დაცვა სურთ, თუ სურთ ნამდვილი სულის კვეთება ერისა გაიგონ, არ აღადგინონ ერების უფლება“ - აღნიშნავდა გაზეთ „სამშობლოში“ დაბეჭდილ წერილში ნიკო ლორთქიფანიძე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერი მზად არ გახლდათ მოვლენების ასეთი სწრაფი განვითარებისთვის და შინაგანადაც მოუმწიფებელი იყო თავისუფლებისთვის, ნიკო ლორთქიფანი-

ძე კატეგორულად მოითხოვდა - „ჩვენ მოვითხოვთ ყველა ქართველისგან წარუდგინონ ახალ მთავრობას, მოხსენება ჩვენ უფლებათა დაუყოვნებელი აღდგენის შესახებ“. ეს ერთობ რომანტიკული განცხადება გახლდათ - პუბლიცისტმა მშვენივრად უწყოდა, რომ ჯერ საჭირო იყო ზრუნვა საზოგადოების ფსიქოლოგიური გარდაქმნისთვის და თავისუფლების იდეის შემზადებისთვის, თუმცა, მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ მოცდის დრო აღარ არსებობდა; სამწუხაროდ, ვერც იმას შეძლებდა ქართველი ერი, რომ დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენის უფლება მოეთხოვა ახალი მთავრობისთვის, რადგან გარკვეული პოლიტიკური და პირადული მრწამსის გამო, „ყველა ქართველი“ ამის მომხრე არ იყო. უფრო მეტიც, პატრიოტთა იდეური მოწინააღმდეგები ადვილად ახერხებდნენ პოლიტიკურად მოუმწიფებელი საზოგადოების მართვას და თვით ეროვნულ-დემოკრატებს აცხადებდნენ ქართველი ერის მოღალატეებად თავისუფლების აღდგენის მოთხოვნის გამო. მოცემული ამონარიდი ადასტურებს, რომ რევოლუციურ ეპოქაში ქართული ნაციონალური ენერგია მნიშვნელოვანწილად დაშლილი იყო და ზოგისთვის თავისუფლება ეროვნულ ტრაგედიად აღიქმებოდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის პირველი მოსამზადებელი სამუშაოები გასწია ეროვნული საბჭოს სპეციალურმა კომისიამ 1918 წლის 28 ივნისიდან - 24 ოქტომბრამდე, ხოლო 1918 წლის 26 ნოემბრიდან პარლამენტში მუშაობა დაიწყო სპეციალურმა საარჩევნო კომისიამ. დამფუძნებელი კრების არჩევნების განსაკუთრებულობა დიდ წილად განაპირობეს მასში მონაწილე პოლიტიკურმა სუბიექტებმა. ამ პერიოდში საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად დასრულებული იყო. აგრეთვე, არჩევნების წინ ჩამოყალიბდა რამდენიმე პარტია, რომელთა მიზანიც იყო დამფუძნებელთა კრებაში მოხვედრა, ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ერთ რომელიმე პარტიას გამოეყოფოდა მცირე ჯგუფი, რომელიც აყალიბებდა სხვა დამოუკიდებელ მცირე პარტი-

ას (მაგ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სოციალ-ფედერალისტების პარტია). ასევე, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ინტელიგენციისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები.

ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტურ წერილებში ასახულია ძირითადად ეროvნულ-დემოკრატიული პარტიის მრწამსი. გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ თითქმის ყოველი ნომრის მოწინავე წერილში გატარებულია იდეა, რომ დრო არის მივეყრდნოთ ჩვენი ბებერი დედის - საქართველოს მკერდს. დავივიწყოთ პირადი ქიშპობა და შევუდგეთ საერთო სახლის - სტიქიურ მოვლენათაგან დამცველი სახლის აგებას.“ სწორედ პროგრესული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიმწოდებლად ითვლებოდა დამფუძნებელი კრება. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში ერთადერთ პატრიოტულ პარტიას წარმოადგენდნენ - არც „საეროვნებო იდეალების უარმყოფელი“ სოციალ-დემოკრატების წამდათ და არც სოციალ-ფედერალისტებისა, რომლებიც საქართველოს ავტონომიას მხოლოდ ეთნოგრაფიული პრინციპით აღიარებდნენ. „გზის გასაყვანად კლდეს ანგრევს მელაღუმე, ხოლო ლიანდაგის დაგება და ორთქმავლის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს მემანქანეს! ვაი, იმ ხალხს, რომელიც მოინდომებს ლაღუმის მოწყობა მემანქანეს მიანდოს და ორთქმავალზე დასვამს მელაღუმეს! დაუკვირდით ამას! - წერილში უდავოდ საინტერესოდ არის გამიჯნული რევოლუციონერისა და ერის წინამძღოლის ფუნქციები; პუბლიცისტმა დელიკატურად მიუთითა ქართულ სოციალისტურ პარტიებს, რომ მათ ბოლომდე ამოწურეს თავიანთი მისია და იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ნგრევის ნიჭი გააჩნიათ და არა შენებისა, დრო იყო პოლიტიკური ასპარეზიდანაც გამქრალიყვნენ; პური მეპურეს (ანუ ეროვნულ-დემოკრატებს - პატრიოტებს) უნდა ეცხოთ. სამწუხაროდ, ისტორიულმა რეალობამ სხვა სურათი გვიჩვენა -1918 წლის 26 მაისს საქართველოს სათავეში სწორედ ე. წ. მელაღუმენი მოვიდნენ, 150 საპარლამენტო მანდატიდამ უმეტესობა სოციალ-დემოკრატებს ერგოთ.

საქართველო ბეწვის ხიდზე იდგა და იწვოდა. ეროვნულ-დემოკრატებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ბრძოლა ანტიქართულ ძალებთან - ამ დროისთვის მათ პოზიციებიც შეიცვალეს და გაცილებით კატეგორიულნიც გახდნენ. თუ 1917 წლისთვის ისინი მხოლოდ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში ითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას, 1918 წლის იანვარში უკვე ე.წ. „ფართო თავისუფლებაზე ალაპარაკდნენ“. როგორც ჩანს, ეროვნულ-დემოკრატებმა ერთ-ერთმა პირველებმა იგრძნეს, რომ ისტორიული პროცესები და ბედისწერა დიდ ცვლილებებს უმზადებდა საქართველოს. ნიკო ლორთქიფანიძე აღნიშნავდა - „ძველი რეჟიმის დროს ე.დ.პ მხარს უჭერდა კულტურულ ავტონომიას და ერობასაც კი, რადგან მცირე უფლებაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას, მაგრამ დღეს უმატებს“. საქართველოსთვის საჭიროა თავისუფლების „matumum”-ი ე. ი. რაც შეიძლება ფართო თავისუფლება.

მიუხედავად ფართო მხარდაჭერისა, საქართველოში მაინც მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ძველ დროს მისტიროდნენ, ისინი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ იმ ახალ ისტორიულ პერიოდს, რომელსაც ჩვენთვის თავისთავადობა და დამოუკიდებლობა უნდა დაებრუნებინა. ნიკო ლორთქიფანიძე ყურადღებას ამახვილებდა ქართული საზოგადოების იმ საკმაოდ სერიოზული, დიდი ნაწილის მონურ ფსიქოლოგიაზე (მათ შორის პირველ რიგში სოციალ-დემოკრატები იყვნენ) და აღნიშნავდა - „ეს პოლიტიკა კი არა, მონობაა, „ქართვლის ცხოვრების“ მემატიანე იტყოდა - „პირუტყვული მონობა.“ ნიკო ლორთქიფანიძემ სწორად გათვალა - იქმნებოდა საშიშროება საზოგადოებაში მცდარი, დემაგოგიური იდეოლოგიის შეტანისა, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ სოციალ-დემოკრატებს ემხრობოდა. ნიკო ლორთქიფანიძე იკვლევდა, აანალიზებდა ეროვნულ თავისთავადობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს - სარწმუნოებას, ენას, კულტურას, ეროვნულ ეკონომიკას, ზნე-ჩვეულებებს, ჯარის პრობლემებს. ეს იყო მართლაც გარდამტეხი მომენტი საქართველოს ისტორიაში - იარსებებდა თუ

არა ზოგადად ქართული სახელმწიფო, ქართული ეკლესია. ქართული ცნობიერება სწორედ ამ ფაქტზე - ეროვნული ჯარის შექმნაზე იყო დამოკიდებული.

გაზეთის „ჩვენი ქვეყნა“ ფურცლებზე ნიკო ლორთქიფანიძე ეროვნულ თავისთავადობასთან დაკავშირებით აბსოლუტურად ყველა პრობლემას შეეხო. ბუნებრივია, მას არც ქართული რელიგიური ცნობიერების კვდომის პროცესი გამორჩენია მხედველობის არედან. პუბლიცისტის ღრმა რწმენით, ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიით უნდა დაწყებულიყო.

„საქართველოს აღდგენის“ წინა პერიოდში კი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება პარადოქსულად ვითარდებოდა. ყველა პარტია გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ძალაუფლების მოპოვების დრო. ამ ბრძოლაში ყველაზე ნაკლები შანსი ეროვნულ-დემოკრატებს ჰქონდათ - მათ, როგორც ვიცით, მხარდამჭერთა დიდი წრე არ ჰყავდათ; ცხადი ხდებოდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მენშევიკებს, ბოლშევიკებს და სოციალ-ფედერალისტებს შორის უნდა გამართულიყო. ნიკო ლორთქიფანიძე პარტიათა ერთ პლატფორმაზე გაერთიანების მომხრე იყო, - „თუ საჭიროა ეროვნულ საკითხებშიც დათმობა, ზოგი რამ უნდა დავთმოთ, ვინაიდან ლანდი მოსჩანს სრული განადგურებისა. შევერთდეთ. სანამ მცირე იმედი მაინც დარჩენილა.“

„ქართველ ერს უდიდესი უბედურება მოელის, თუ „ბოლშევიკურ“ გზას დაადგება“ - წერდნენ ეროვნულ-დემოკრატები. ამიტომ მოუწოდებდნენ ისინი მენშევიკებს მხარდაჭერისკენ, სოციალ-ფედერალისტებს, რომლებიც იმ ეტაპზე ბოლშევიკებისკენ იხრებოდნენ. ნიკო ლორთქიფანიძე წერდა: „დღეს ფედერალისტები ბელზებელსაც კი შეუერთდებიან, ოღონდ „მენშევიკებს“ გადაუხადონ ის შეურაცხყოფა და შევიწროება, რომელიც ოდესმე მიუყენებია მათთვის „მენშევიკებს“ ... და ამისთვის არ დაგიდევენ არც ქვეყნის ინტერესს და არც უბრალო სამართლიანობას.“

ნიკო ლორთქიფანიძეს მიაჩნდა, რომ პირადი ანგარიშსწორების და წარსულში მიყენებული შეურაცხყოფის მოგონება „განადგურების ლანდს“ უფრო მკვეთრსა და სახიფათოს გახდიდა ქვეყნისთვის. შურისძიების დრო საქართველოს აღარ ჰქონდა - ბოლშევიკების მოსვლას ისევ მენშევიკების სჯობდა და წერდა - „ბრძოლამ, აუარებელმა მსხვერპლმა მოგვცა თავისუფლება, და ნუ თუ უღირს მემკვიდრეებივით ვერ მოვუვლით თავისუფლებას და ერთმანეთში ჩხუბის დროს საერთო მტერს გავახარებთ?

ნიკო ლორთქიფანიძე და მთელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ილიას მიმდევრებად აცხადებდნენ თავს და მოქმედებდნენ პრინციპით - „სიტყვა -სიტყვაა და საქმე სულ სხვაა. სიტყვასა და საქმეს შუა დიდი ზღვარია. ამიტომაც დაიჭირეს მათ 1918 წელს მენშევიკების მხარე - ამით მათ უარი საკუთარ ინტერესებზე, პოლიტიკურ მრწამსზე და საქმით აქციეს თავიანთი სიტყვა რეალურ ძალად. ეროვნულ-დემოკრატები თავის დროზე პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მათი სულიერი მოძღვრის - ილიას მკვლელობის ძაფი სოციალ-დემოკრატებთან იკვანძებოდა და პირდაპირ წერდნენ - „მათ თვალწინ მოიკლა ილია, მათ წრეში მყოფმა თუ მათი წრიდან გამოსულმა კაცებმა მოკლეს“ „რაც დღეს ხდება - ეს ნაყოფია მისგან დარგული ნერგისა, - წერდნენ პატრიოტები, - ილია ჭავჭავაძისგან ნათესი მარცვალი დღეს აღმოცენდა, ილია ჭავჭავაძისგან დადგმული კერა დღეს აღორძინდა და, რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდებით, რომ ის დიდებული მოღვაწე, იშვიათი მოამაგე და გულმხურვალე ქურუმი სამშობლოს წმინდა საკურთხევლისა უკვდავია და მისი მშობელი ერის ბრწყინვალე მომავალიც უზრუნველყოფილია, ...რაც სიცოცხლით გვითხრა, ის სიკვდილით დაგვიტკიცა.“

ნიკო ლორთქიფანიძის თეზისები ეროვნულ-დემოკრატთა იდენტურია, პატრიოტები ბიბლიური ჭეშმარიტებიდან ამოდიოდნენ - ძველი აღთქმის სიუჟეტით თანამედროვე საქართველოს ტრაგიზმს ხსნიდნენ და წერდნენ - „მოსემ ებრაელები ეგვიპტის მონობიდან 40 წლის ხეტიალის შემდეგ თვისი აღთქმის საზღვარზე მიიყ-

ვანა, დაანახა ქვეყანა იგი და ისევ უდაბნოში დააბრუნა. ...ეს რომ არ ექმნა, საუკუნოებით ეგვიპტის ტყვეობაში მყოფი ხალხი ჩვენი აღთქმის ქვეყანაშიც სულით მონებად დარჩებოდნენ. მოსემ კი იმდენი იხეტიალა, ვიდრე ძველები არ დაიხოცნენ და ახლებმა თავისუფლების სიტკბოება არ იგემეს." ნიშანდობლივია, რომ წერილი 1918 წლის 23 ივნისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაა დაწერილი. ეროვნულ-დემოკრატები ერთდროულად რთულ და მარტივ ლოგიკურ დასკვნას აკეთებდნენ - სანამ საქართველოში არსებობდნენ მონობაში დაბადებული თაობები, მანამ პრობლემა არ გადაწყდებოდა, ისინი წარსულში დარჩებოდნენ და „თავისუფლების სიტკბოების" გემოს არ (და ვერ) აღიქვამდნენ, იგი მხოლოდ ახალგაზრდობაში ხედავდა ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეალურ ძალას და წერდა - „თქვენ ბედნიერი ხართ. თქვენ შეადგენთ პირველ ახალ თაობას, რომელიც საქართველოს დროშის ქვეშ თავისუფლათ იკრიბება. ჩვენ მცირენი ვიყავით, თქვენ - საკმაო ძალას წარმოადგენთ; ჩვენ დაგვცინოდნენ - თქვენ სძულხართ; ეს ღირსშესანიშნავია. ჩვენ აქა-იქ კანტი-კუნტათ ვლაპარაკობდით - თქვენ მამაცათ მოქმედებთ. ბედნიერი ხართ, რამდენათაც ტყვეობაში მყოფ ერის შვილთ შეუძლიათ იყონ ბედნიერი". ნიკო ლორთქიფანიძეს დამაჯერებლად მივყავართ ერთ დასკვნამდე - უკვე არსებობს თაობა, რომელიც ძლიერ ძალას წარმოადგენს, მოცემულ ამონარიდში მთავარი და არსებითია ერთი პლასტი - „ჩვენ დაგვცინოდნენ - თქვენ სძულხართ" - ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია და დაკვირვებასაც მოითხოვს - პატრიოტთა ახალი თაობა ძლიერ ძალად იქცა მოწინააღმდეგეთათვის - დაცინვა და აგდებული დამოკიდებულება სიძულვილმა შეცვალა, რაც არსებითად მეტოქეთა დაუძლურების ნიშანი იყო. ნიკო ლორთქიფანიძე გამოუსწორებელ ჰუმანისტად რჩებოდა - ახალ თაობას იგი იდეურ მოწინააღმდეგეებთან კეთილშობილური ბრძოლისკენ მოუწოდებდა - „მტერი ყოველთვის კეთილშობილურად დაამარცხეთ" - წერდა პუბლიცისტი და ის ფაქტიც, რომ გაზეთმა „ჩვენი ქვეყანა" 1918 წლის ბოლოს არსე-

ბობა შეწყვიტა, ნამდვილად რთულია დავუკავშიროთ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანოს დახურვა კეთილ ნებას.

თავად ნიკო ლორთქიფანიძეს 1918 წლის თებერვლის შემდეგ გაზეთში წერილები აღარ გამოუქვეყნებია. რა იყო ამ დუმილის მიზეზი, რატომ იყო იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი მხოლოდ 1917-1920 წლებში, რას არ ამბობდა იგი და რატომ, სამწუხაროდ დღემდე გაურკვეველია და დამატებითი შესწავლის თემაც გახლავთ; ცხადია მხოლოდ ის, რომ ნიკო ლორთქიფანიძის პატრიოტული, ეროვნული მსოფლმხედველობა თავისივე ნაწარმოებებით და ჩანაწერებით გასცდა ,,დროის გარეშე მენტალურ ლანდშაფტს" და ქსელური საზოგადოების ისტორიულ მეხსიერებასა და თაობათა შორის კომუნიკაციურ ველში გაერთიანდა, რომლის ფოკუსშიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უდიდესი ადგილი დაიკავა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე აკ. „მწერლობის მოთვინიერება“; გამ. სარანგი, თბილ.1990

გრძელიძე რ. „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია“ (1910-1924) თსუ, 1998

დავიდოვი შ. „რევოლუციის მატიანე“, 1923

თხილავა ე. „ნამდვილი დენდი“; ქუთაისი, 2006

კასტელსი მ, Castells, M, „The information Age Economy, society and culture“, Volume1: The Rise of the Network society Blackwell Publishors, Oxford MA;327, 1996

ლორთქიფანიძე ნ; თხზ. სრული კრებ. ოთხ ტომად, გამ. საბჭ. საქ თბ. 1958

მოლი ა, Моль. А. Социодинамика культуры. М. 1973

ნიკოლეიშვილი ავ. „ნ. ლორთქიფანიძე“, ქუთაისი, 1992

ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები VII-VIII, თბილისის, 1981

რადიანი შ. ნარკვევები და შთაბეჭდილებები , თბილისის, 1962

სიგუა ს. „ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი , „საბჭოთა საქართველო“, 1988

ტაბიძე ნ. “ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“; 1988

ჭილაია ს. XX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ 1956

ჭილაძე მ, „ბედნიერი ტანჯული“ . „ლოგოს პრესი“ 2003

ჯავახიშვილი მ, წერილები, თბილისი 2001

ჯანელიძე ო. „26 მაისიდან 25 თებერვლამდე“ თბ. 1989

წერეთელი აკ. „თხზულებანი“, 1980, გამომც. „საბჭოთა საქართველო“

Irma Gabinashvili

The Constituent Assembly of Georgia in the Georgian Printed Media

Abstract

The founding assembly left a great mark on the time perspective of the idea of progressive development of Georgia. The period of the first independent republic, which is considered the basis of the modern Georgian state, was remembered by history, primarily by the legislature - the "Founders' Assembly", both by its preparation and by its unique provision, by the work carried out by the election commission and feedback from the forces involved in the process. In spite of the economic problems and foreign political crisis in the country during this period, it was possible to hold one of the most democratic elections in the world, organized to fill the highest legislature of the country. However, this process was preceded by quite heated discussions between different groups of the society, who had different ideas about the prospects of the country's development.

This era is special for the history of Georgian journalism. In the printed editions published at that time: newspapers "Georgia", "People's Affairs", "Alion", “Unity", "Our Country", " Homeland" and the magazine "Our Nation", the idea of Georgia's independence and the resonant accents formed in connection with the activities of the founding assembly are clearly visible. We will review these trends in the wake of the journalistic thought of the famous Georgian writer Niko Lortkifanidze, who very interestingly depicted the most difficult process of instilling national consciousness and dignity in this most important period for the country.

Key words: the idea of independence, democratic elections, journalistic thinking.